

შპს „თითი ედვაიზორი_“
ფინანსური ანგარიშგება

2026 წლის 1 იანვარი 31 მარტის ჩათვლით პერიოდზე

შპს „თითი ედვოკატი“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... 5

ფულადი ნაკადების ანგარიშგება..... 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 7

შპს „თითი ედვაიზორი“

ს/კ 405608846

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი 31 მარტის პერიოდისთვის

(ეროვნულ ვალუტაში)

	შენიშვნა	31.03.2025	31.03.2026
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		5,793	6,973
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,793	6,973
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	719,643	740,986
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	8	404,936	607,290
სხვა აქტივები		152,960	11,957
სულ მიმდინარე აქტივები		1,277,540	1,360,234
სულ აქტივები		1,283,333	1,367,207
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1,074,999	1,243,714
საკუთარი კაპიტალი	9	1,074,999	1,243,714
ვალდებულებები			
გადასახდელი ხელფასები			0
სხვა ვალდებულებები		104,694	48,635
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		103,639	74,858
სულ მიმდინარე ვალდებულებები		208,334	123,493
სულ ვალდებულებები		208,334	123,493
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,283,333	1,367,207

2026 წლის 01 იანვარი 31 მარტის პერიოდის

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2026

წლის 15 მაისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი :

ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თითი ედვაიზორი“
ს/კ 405608846

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი 31 მარტის პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

შენიშვნა	2025 წლის 1 იანვარი 31 მარტი	2026 წლის 1 იანვარი 31 მარტი
ამონაგები	609,995	513,160
სულ საოპერაციო ამონაგები	609,995	513,160
დასაქმებულთა გასამრჯელოები	(344,591)	(330,208)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(83,666)	(122,351)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები	(26,942)	(61,367)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(11)	(300)
იჯარის ხარჯი	(10,470)	(9,662)
მივლინების ხარჯები	0	(3,327)
სხვა ხარჯები	(115,195)	(16,369)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	29,121	(30,423)
საპროცენტო შემოსავალი	4,210	4,364
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	251	(909)
პერიოდის ზარალი	33,582	(26,968)

2026 წლის 1 იანვარი 31 მარტის პერიოდის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2026 წლის 15 მაისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი :

ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თითი ედვაიზორი“
ს/კ 405608846

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი 31 მარტის პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		<u>1,270,682</u>	<u>1,270,682</u>
წლის მოგება/ზარალი და სხვა სრული შემოსავალი			
2026 წლის პირველი კვარტლის ზარალი	-	<u>(26,968)</u>	<u>(26,968)</u>
ოპერაციები კომპანიის მფლობელთან			
საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	-
ნაშთი 2026 წლის 31 მარტის დგომარეობით	-	<u>1,243,714</u>	<u>1,243,714</u>
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	184,000	<u>1,041,417</u>	<u>1,225,417</u>
წლის მოგება/ზარალი და სხვა სრული შემოსავალი			
2025 წლის პირველი კვარტლის ზარალი	-	<u>33,582</u>	<u>33,582</u>
ოპერაციები კომპანიის მფლობელთან			
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(184,000)	-	<u>(184,000)</u>
ნაშთი 2025 წლის 31 მარტის დგომარეობით	-	<u>1,074,999</u>	<u>1,074,999</u>

2026 წლის 1 იანვარი 31 მარტის პერიოდის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2026 წლის 15 მაისს შემდეგი პირის
მიერ :
დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თითი ედვაიზორი“

ს/კ 405608846

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი 31 მარტის პერიოდისთვის

(ეროვნულ ვალუტაში)

ფულადი ნაკადების უწყისი	31.03.2025	31.03.2026
შემოსავალი		
	<u>1,667,790</u>	<u>982,054</u>
საოპერაციო შემოსავალი	<u>1,010,350</u>	<u>959,635</u>
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	<u>3,796</u>	<u>18,750</u>
ხაზინიდან დაბრუნება	<u>3,644</u>	<u>3,669</u>
დეპოზიტის დაბრუნება	<u>650,000</u>	
გასვალი	<u>(1,466,543)</u>	<u>(677,281)</u>
მივლინების ხარჯი		<u>(3,487)</u>
საბანკო საკომისიო	<u>(710)</u>	<u>(1,098)</u>
გადასახადების ერთიანი კოდის(ხაზინა) ხარჯი	<u>(232,615)</u>	<u>(190,310)</u>
სოციალური გადასახადის ხარჯი	<u>(4,345)</u>	<u>(5,230)</u>
ხელფასების ხარჯი	<u>(274,028)</u>	<u>(261,539)</u>
IT მომსახურება	<u>(2,400)</u>	<u>(4,820)</u>
იურიდიული მომსახურების ხარჯი	<u>(19,913)</u>	<u>(32,497)</u>
საკონსულტაციო ხარჯი	<u>0</u>	<u>(13,410)</u>
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	<u>(24,732)</u>	<u>(29,403)</u>
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	<u>(56,071)</u>	<u>(101,149)</u>
პლატფორმის მომსახურების ხარჯი	<u>(9,290)</u>	<u>(6,984)</u>
სხვა საერთო ხარჯი	<u>(1,049)</u>	<u>(2,127)</u>
იჯარა	<u>(5,596)</u>	<u>(9462)</u>
კაპიტალის შემცირება	<u>(184,000)</u>	<u>(13,319)</u>
კონვერტაციის გავლენა	<u>1,794</u>	<u>(2446)</u>
დეპოზიტის გახსნა	<u>(650000)</u>	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	353,690	302,517
ფულადი სახსრები პერიოდის განმავლობაში	201,246	304,773
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	554,936	607,290

2026წლის 1 იანვარი 31 მარტის პერიოდის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2026 წლის 15მაისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი :

ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილია შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს თითი ედვაიზორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2026 წლის 1 იანვარი 31 მარტის პერიოდზე

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს თითო ელვაიზორი (შემდგომში – კომპანია) (ს/კ 405608846) დაფუძნდა 2023 წლის 29 მარტს საქართველოს კანონმდებლო კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, გამზირი ი.ჭავჭავაძე N 49ბ, ნიშნული -5.1 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიან ქაღალდებთან და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებული საბრუნავი დაარსების დღიდან (29.03.2023) 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით კომპანიის 100 %-ის მფლობელია კონსტანტინე ოსიპი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობაზე :

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის გამოყენების თარიღი არის 2023 წლის 29 მარტი . კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის და მეოთხე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2026 წლის 1 იანვარის დასაწყისისთვის და 31 მარტის დასასრულისთვის, აღნიშნული პერიოდის სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო :

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა უნარი გააგრძელოს საქმიანობა ,როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაეკმაყოფილა იმით ,რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად .ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ,რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ექვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით .

საოპერაციო გარემო :

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. საქართველოს განვითარებად ბაზარს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა,როგორც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ.საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს,რომლებიც,ჩვეულებრივ არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე,მათ შორის რისკს,რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ,არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები,ხოლო სასესნო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს

საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს მომსახურების საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ მომსახურების ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

შენიშვნა N6_ ამონაგები

მოცემულ საოპერაციო პერიოდში შპს თითო ედვიაზორის საოპერაციო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სს საქართველოს ბანკთან, სს თიბისი ბანკთან, შპს თიბისი კაპიტალთან, perefil foundation, areca capital, სს ქართუ ბანკი და Interactive Brokers -თან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა .

ამონაგები	6	513,160
სულ საოპერაციო ამონაგები		513,160

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მომსახურების მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

	31.03.2026
კურსთაშორისი სხვაობა	7,815
არასაოპერაციო შემოსავალი (საპროცენტო შემოსავალი)	4,364
სულ	12,179

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

შენიშვნა N8_ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულის ნაშთი ბანკში

	31.03.2026
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აშშ დოლარში	592,977
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ევროში	
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ლარი	14,313
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში შვეიცარული ფრანკი	
სულ	

2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს წამყვან კომერციულ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 მარტის პერიოდისთვის დაირიცხა და მიღებულ იქნა ფულადი ფორმით საპროცენტო შემოსავალი 4364 ლარის ოდენობით.

შენიშვნა N7_სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებასთან

მიახლოებული მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო. პერიოდის ბოლოს ქართული კომერციულ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით მისაღები სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს 364121,39 ლარს, სავაჭრო მოთხოვნა ფიქსირდება ასევე უცხოური ბანკებიდან 13252 ლარის ოდენობით, უცხოური კომპანიებიდან 95841 ლარის ოდენობით და ფიზიკური პირებიდან 112678 ლარის ოდენობით.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დასაქმებულთა გასამრჯელოები	(330208)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(122351)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები	(61367)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(300)
იჯარის ხარჯი	(9662)
მივლინების ხარჯები	(3327)
სხვა ხარჯები	(16369)
საოპერაციო ხარჯები	(543584)

კაპიტალი

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 2026 წლის, 31 მარტის შემდეგ, პარტნიორის გადაწყვეტილებით კაპიტალის გაზრდა/ შემცირება არ მომხდარა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2026 წლის 15 მაისს .

დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

